სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №56

დ. ქედა 03 .04. 2023 წელი

ერთის მხრივ ქედის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მერის როლანდი ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „გეპა" წარმოდგენილი დირექტორის გელა პატარაიას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") სახელმწიფო შესყიდვების საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლის ა პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

· 1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1,1. პრინტერების შეკეთება და ნოუთბუქის ჩანთის შესყიდვა

1,3 კლასიფიკატორის კოდი CPV50320000, CPV30237270

2. ხელშეკრულების ღირებულება.

2.1 ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს 330 (სამასოცდაათი) ლარს; მათ შორის:

2.1.1პრინტერის შეკეთება რეზინის ლილვის და თერმოფირის შეცვლით - 90 ლარი;

2.1.2. პრინტერის შეკეთება ქაღალდის ფურცლის მიმწოდებელის შეცვლით - 120 ლარი;

2.1.3. ნოუთბუქის ჩანთა 460-BCMK_GE Dell Pro Slim Briefcase 15 - PO1520CS – 1 ცალი - 120 ლარი

3. ანგარიშსწორება

3.1 შემსყიდველი მიმწოდებელს მომსახურების ღირებულებას აუნაზღაურებს, უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი მომსახურეობის გაწევაზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

2.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან

5. მომსახურების მიწოდების და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 მიწოდებს ხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2023 წლის 01 მაისამდე

5.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2023 წლის 01 ივნისამდე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილება.

6.2.შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება სრულად მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საბოლოო შემოწმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

71 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ ის გაფორმებულია წერილობით და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

8. სუბკონტრაქტორები

8.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

8.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

8.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9. შეტყობინება

9.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

9.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით,

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს შესაბამისი მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობებისშეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. სხვა პირობები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილი ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად (დოკუმენტზე შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დოკუმენტი დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. რეკვიზიტები

“შემსყიდველი“ ქედის მუნიციპალიტეტი მისამართი: დ. ქედა, მ. კოსტავას ქ. #3 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ანგ. № GE24NB0330100200165022 ; ს/კ 246762061 მერი როლანდი ბერიძე	**„მიმწოდებელი”:** შპს „ გეპა“ ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის ქ.#90/6 მიმღები ბანკი:s.s. `პროკრედიტ ბანკი~ ბანკის კოდი MIBGGE22 ანგ. ნომერი GE92PC0033600100053916 ს/კ 445506587; დირექტორი გელა პატარაია

Rolandi Beridze 61002005539

Digitally signed by Rolandi Beridze
Date: 2023.04.03 17:30:14

Gela Pataraia 61003002868